



2024

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-5
--------------------------------------	-----

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	9

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. არსებითი სადრიცხო პოლიტიკის პრინციპები.....	13
4. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი.....	19
5. მნიშვნელოვანი სადრიცხო შეფასებები და დაშვებები.....	19
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	20
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
8. გაცემული სესხები.....	21
9. მარაგები.....	22
10. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა.....	22
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	23
12. აქტივი გამოყენების უფლებით.....	24
13. საინვესტიციო ქონება.....	24
14. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში.....	25
15. გასაყიდად გამიზნული აქტივები.....	25
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
17. სასესხო ვალდებულებები.....	26
18. საიჯარო ვალდებულებები.....	27
19. შემოსავალი.....	27
20. რეალიზაციის თვითღირებულება.....	27
21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	27
22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა.....	28
23. წმინდა ფინანსური ხარჯი.....	28
24. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა.....	28
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	29
26. ფინანსური რისკების მართვა.....	30
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	33

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი თი სი თრედიინგი“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი თი სი თრედიინგი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 11,774,346 ლარის ოდენობით. ჩვენ დავესწარიტ და დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარდა 2024 წელს. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა არსებითი სხვაობები მარაგების ფაქტობრივ ნაშთსა და კომპანიის სააღრიცხვო სისტემაში ასახულ ნაშთებს შორის, რომლის რეკონსილაცია და კორექტირებაც არ მომხდარა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩვენ ვერ შევძელით, მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც ასევე გავლენას ახდენს 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის მუხლებთან მიმართებაში (თვითღირებულებაში); ამასთანავე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე აღრიცხული მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს იმპორტირებულ მარაგებს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ანგარიშსწორებით, ხოლო ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ აღრიცხვის პროგრამის ხარვეზიდან გამომდინარე, მარაგების ბალანსზე აღიარებისას ვერ ხერხდება ინვოიტურის პირობების გათვალისწინება. შესაბამისად, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების თვითღირებულების სისწორეში. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ, თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

კომპანიის საინვესტიციო ქონების გაუფასურების ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის 2024 წლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 194,505 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შევძლებდით დაგვედასტურებინა კომპანიის ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონების თვითღირებულება და რეალური ღირებულება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა აღნიშნული საკითხის შესაძლო გავლენის შედეგად აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული საინვესტიციო ქონების და მოგება-ზარალისა და სხვა სრულის შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოდგენილია 102,519 ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს კომპანიის მიერ შეიღობილი საწარმოს „შპს ჯიარ დეველოპმენტის, წილის დაკავშირებულ მხარეებზე რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შევძლებდით დავრწმუნებულიყავით, რომ აღნიშნული ტრანზაქცია საბაზრო პირობითაა განხორციელებული. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა აღნიშნული საკითხის შესაძლო გავლენის შედეგად აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრულის

შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის მუხლში და აგრეთვე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

შეინიშვნა 4-ში წარმოდგენილია წინა პერიოდის კორექტირებები, რომელიც გამოწვეულია კომპანიის მიერ მს ფასს-დან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლის შედეგად.

ჩვენი აზრით, აღნიშნული კორექტირება მიზანშეწონილია და სათანადოდ არის აღრიცხული.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში,

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

2 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

2 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,696,716	1,721,057	4,673,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	23,624,173	14,455,191	6,204,609
მოკლევადიანი გაცემული სესხები	8	4,038,022	1,340,921	786,003
მარაგები	9	11,774,346	11,181,903	11,865,613
საგადასახადო აქტივი, წმინდა	10	438,586	87,836	-
გასაყიდად გამიზნული აქტივი	15	9,884,676	9,370,790	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		51,456,519	38,157,698	23,529,516
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,631,255	1,486,091	1,024,929
არამატერიალური აქტივები	11	7,881	15,216	22,551
აქტივის გამოყენების უფლება	12	1,563,807	2,188,017	575,635
გრძელვადიანი გაცემული სესხები	8	2,264,882	8,726,234	1,836,571
საინვესტიციო ქონება	13	-	549,123	194,505
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	14	-	916,944	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,467,825	13,881,625	3,654,191
სულ აქტივები		56,924,344	52,039,323	27,183,707
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	14,203,555	13,544,015	6,630,065
გადასახდელი დივიდენდები		-	28,000	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	17	802,471	586,664	147,581
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	18	33,785,499	16,803,710	13,867,366
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	10	-	-	283,165
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		48,791,525	30,962,389	20,928,177
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	18	741,513	1,441,342	328,621
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	17	4,783,486	13,537,615	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,524,999	14,978,957	328,621
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		284,347	284,347	286,938
გაუნაწილებელი მოგება		2,323,473	5,813,630	5,639,971
სულ კაპიტალი		2,607,820	6,097,977	5,926,909
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		56,924,344	52,039,323	27,183,707

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
კახა მარლიაშვილიფინანსური დირექტორი
დავით ჟღენტითბილისი, საქართველო
2 ოქტომბერი 2025

შპს „ჯი თი სი თრედიინგი“
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,696,716	1,721,057	4,673,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	23,624,173	14,455,191	6,204,609
მოკლევადიანი გაცემული სესხები	8	4,038,022	1,340,921	786,003
მარაგები	9	11,774,346	11,181,903	11,865,613
საგადასახადო აქტივი, წმინდა	10	438,586	87,836	-
გასაყიდად გამიზნული აქტივი	15	9,884,676	9,370,790	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		51,456,519	38,157,698	23,529,516
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,631,255	1,486,091	1,024,929
არამატერიალური აქტივები	11	7,881	15,216	22,551
აქტივის გამოყენების უფლება	12	1,563,807	2,188,017	575,635
გრძელვადიანი გაცემული სესხები	8	2,264,882	8,726,234	1,836,571
საინვესტიციო ქონება	13	-	549,123	194,505
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	14	-	916,944	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,467,825	13,881,625	3,654,191
სულ აქტივები		56,924,344	52,039,323	27,183,707
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	14,203,555	13,544,015	6,630,065
გადასახდელი დივიდენდები		-	28,000	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	17	802,471	586,664	147,581
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	18	33,785,499	16,803,710	13,867,366
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	10	-	-	283,165
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		48,791,525	30,962,389	20,928,177
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	18	741,513	1,441,342	328,621
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	17	4,783,486	13,537,615	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,524,999	14,978,957	328,621
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		284,347	284,347	286,938
გაუნაწილებელი მოგება		2,323,473	5,813,630	5,639,971
სულ კაპიტალი		2,607,820	6,097,977	5,926,909
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		56,924,344	52,039,323	27,183,707

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 კახა მარღიაშვილი

 თბილისი, საქართველო
 2 ოქტომბერი 2025

ფინანსური დირექტორი
 დავით ჟღენტი


შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	19	63,876,521	58,143,272
რეალიზაციის თვითღირებულება	20	(55,318,916)	(51,148,217)
საერთო მოგება		8,557,605	6,995,055
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(6,626,296)	(4,028,261)
საოპერაციო მოგება		1,931,309	2,966,794
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	22	(687,632)	881,006
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება		102,519	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	23	(2,791,908)	(1,231,185)
საკუროს სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	24	210,845	(817,956)
მოგება დაბეგვრამდე		(1,234,867)	1,798,659
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		(1,234,867)	1,798,659
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(1,234,867)	1,798,659

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2025

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	19	63,876,521	58,143,272
რეალიზაციის თვითღირებულება	20	(55,318,916)	(51,148,217)
საერთო მოგება		8,557,605	6,995,055
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(6,626,296)	(4,028,261)
საოპერაციო მოგება		1,931,309	2,966,794
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	22	(687,632)	881,006
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება		102,519	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	23	(2,791,908)	(1,231,185)
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	24	210,845	(817,956)
მოგება დაბეგვრამდე		(1,234,867)	1,798,659
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		(1,234,867)	1,798,659
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(1,234,867)	1,798,659


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი





თბილისი, საქართველო
2 ოქტომბერი 2025

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	286,938	5,639,971	5,926,909
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,798,659	1,798,659
კაპიტალის შემცირება	(2,591)	-	(2,591)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,625,000)	(1,625,000)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	284,347	5,813,630	6,097,977
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,234,867)	(1,234,867)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,255,290)	(2,255,290)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	284,347	2,323,473	2,607,820

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი



თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2025

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
 კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	286,938	5,639,971	5,926,909
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,798,659	1,798,659
კაპიტალის შემცირება	(2,591)	-	(2,591)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,625,000)	(1,625,000)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	284,347	5,813,630	6,097,977
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,234,867)	(1,234,867)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,255,290)	(2,255,290)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	284,347	2,323,473	2,607,820

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი	ფინანსური დირექტორი
კახა მარღიაშვილი	დავით ჟღენტო
	
თბილისი, საქართველო	
2 ოქტომბერი 2025	

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	65,917,803	60,193,947
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(59,195,703)	(56,735,219)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,171,803)	(1,574,207)
გადახდილი გადასახადები	(10,702,891)	(8,630,155)
ბანკის საკომისიო	(47,417)	(18,007)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,200,011)	(6,763,641)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(549,947)	(928,123)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული თანხები	-	65,851
გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა	(504,451)	-
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	422,800	-
სესხის გაცემა	(2,860,552)	(9,372,546)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული თანხა	278,640	(785,031)
გაცემული სესხის დაბრუნება	8,219,500	2,406,838
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	(916,944)
მიღებული პროცენტი	178,685	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	5,184,675	(9,529,955)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(2,591)
სესხის აღება	31,074,284	64,220,686
დაკავშირებული მხარისგან მიღებული თანხა	(840,385)	1,698,178
სესხის დაფარვა	(22,483,132)	(49,083,068)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(805,556)	(497,630)
სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(2,948,511)	(1,115,377)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(138,658)	(75,516)
გადახდილი დივიდენდები	(2,283,290)	(1,597,000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,574,752	13,547,682
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)	559,416	(2,745,914)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(583,757)	(206,320)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,721,057	4,673,291
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,696,716	1,721,057

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი

2 ოქტომბერი 2025

მპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	65,917,803	60,193,947
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(59,195,703)	(56,735,219)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,171,803)	(1,574,207)
გადახდილი გადასახადები	(10,702,891)	(8,630,155)
ბანკის საკომისიო	(47,417)	(18,007)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,200,011)	(6,763,641)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(549,947)	(928,123)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული თანხები	-	65,851
გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა	(504,451)	-
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	422,800	-
სესხის გაცემა	(2,860,552)	(9,372,546)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული თანხა	278,640	(785,031)
გაცემული სესხის დაბრუნება	8,219,500	2,406,838
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	(916,944)
მიღებული პროცენტი	178,685	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	5,184,675	(9,529,955)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(2,591)
სესხის აღება	31,074,284	64,220,686
დაკავშირებული მხარისგან მიღებული თანხა	(840,385)	1,698,178
სესხის დაფარვა	(22,483,132)	(49,083,068)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(805,556)	(497,630)
სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(2,948,511)	(1,115,377)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(138,658)	(75,516)
გადახდილი დივიდენდები	(2,283,290)	(1,597,000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,574,752	13,547,682
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)	559,416	(2,745,914)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(583,757)	(206,320)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,721,057	4,673,291
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,696,716	1,721,057

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი

2 ოქტომბერი 2025

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჯი თი სი ტრედიინგი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 21 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406249625.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ., N3

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქარგილე მასალების (სამშენებლო ფანერა, კოჭი, დგარი, ხარაჩო, ყალიბები, სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო მასალები და აქსესუარები) რეალიზაცია/იჯარით გაცემა.

კომპანიის დამფუძნებელი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შპს „ჯი თი სი ჯგუფი“ (ს/კ 405324947) და შპს „ანაგი“ (ს/კ:405324947) 50-50 %-იანი წილის პროპორციით. შპს „ჯი თი სი ჯგუფი“ (ს/კ 405324947) 50-50 %-იანი წილის პროპორციით მფლობელები არიან: ლევან კალანდარიშვილი (პ/ნ 01015008724) და კახა მარღიაშვილი (პ/ნ 01015007303), შპს ანაგი-ს (ს/კ:245416401) 100 %-იანი წილის მფლობელია ნანა აროშიძე (პ/ნ: 61001011700)

(ბ) ბიზნესგარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის - 2023 წლის 1 იანვრისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2023 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრინციპებით (მსს ფასს), შესაბამისად, სრულ ფასს-ზე გადასვლამ გამოიწვია საწყისი ნაშთების კორექტირება (იხ. შენიშვნა 4).

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უზლოეს მომავალში. შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილება სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წამორდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე, ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებას აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნებში ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ II მოდელის წესები

ბასს 12-ის შესწორებები დროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარლდებიან. ცვლილებების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცოდებები) 30-ე პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულებების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21 -ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან. წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება - ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან, (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

ცვეთა - აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის რეალიზაციიდან, მინუს რეალიზაციის საორიენტაციო დანახარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივის ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა არ წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი მოცდენილია, ან გამოსულია აქტიური მოხმარებიდან, თუ აქტივზე სრულად არ არის დარიცხული ცვეთა. თუმცა, პრაქტიკაში გამოყენებული ცვეთის მეთოდების შესაბამისად, ცვეთის ხარჯი შეიძლება ნული იყოს, თუ აქტივი არ მონაწილეობს წარმოების პროცესში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნაწილს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
დანადგარები და აღჭურვილობა	4-20
სატრანსპორტო საშუალებები	10
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	4-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
შენობა-ნაგებობები	10

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

კომპანია აღრიცხავს შვილობილ საწარმოში ინვესტიციას ამ ინვესტიციის საწყისი ღირებულებით სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილ საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, იმისათვის, რათა განისაზღვროს არის თუ არა რაიმე მინიშნება გაუფასურებაზე. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, აქტივის ამოღებადი თანხები დგინდება. გაუფასურების ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს ამოღებად თანხას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

კომპანია არ იკონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას რადგან იგი აკმაყოფილებს ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- მშობელი საწარმო თვითონ არის სხვა საწარმოს შვილობილი საწარმო; და
- მისი საბოლოო მშობელი საწარმო (ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო) ადგენს კონსოლიდირებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას ფასს სტანდარტების სრული ვერსიის, ან წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად

იჯარა

იჯარის დაწყების დღეს, საიჯარო ვალდებულება იზომება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. აქტივების გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების სიდიდით, იზრდება რომელიმე ადრე განხორციელებული საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), კომპანიის მიერ გაწეული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და კომპანიის მიერ განხორციელებული დემონტაჟისა და აღდგენის ხარჯების შეფასებით.

საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე.

ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ აქტივებს, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თაობაზე კომპანიის ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიშვება ფინანსური იჯარის პირობებში, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშვება ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა, აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშვება საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	1%	2%	5%	25%	50%	100%

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მოესადაგება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გამჟღავნდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გამჟღავნდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდას, ან ორივე მიზანს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება სამართლიანი ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მსგავსი ქონების ღირებულება აქტიურ ბაზარზე, რომელიც მდებარეობს იგივე ადგილას იგივე პირობებით. კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება კომპანიის შიდა ექსპერტის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 USD/GEL	2.8068	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9306	2.9753	2.8844

4. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია ბასსს-ის მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მოქმედი ვერსიის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება. ეს ვერსია გამოყენებულ იქნა 2024 წლის 1 იანვრის საწყისი ფასს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და მის შემდგომ პერიოდებში პირველი ფასს-ის ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრინციპებით (მსს ფასს). შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღით. წინამდებარე შენიშვნაში ასახულია ფასს-ზე გადასვლის ეფექტი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
აქტივის გამოყენების უფლება	45,288	530,347	575,635
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	(3,079)	(144,502)	(147,581)
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	(328,621)	(328,621)
გაუნაწილებელი მოგება	(5,582,747)	(57,224)	(5,639,971)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, გათვალისწინებული რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული, რომელიც მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობიდან გამომდინარეობს, თუ საკრედიტო რისკი წარმოქმნის შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. თუ ფინანსური აქტივი განიმარტება როგორც შეძენილი ან შექმნილი, კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივი, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი აქტივის საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული. ფულადი მოთხოვნების რეზერვის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 4,621,040 ლარს (2023 წელს 3,308,308 ლარს).

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,682,883	1,347,141	3,296,091
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,830	373,895	1,376,987
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3	21	213
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,696,716	1,721,057	4,673,291

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	24,788,536	15,329,692	8,810,174
სხვა დებიტორული დავალიანება	191,558	-	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(4,621,040)	(3,308,308)	(3,050,280)
სულ ფინანსური მოთხოვნების წმინდა ღირებულება	20,354,054	12,021,384	5,759,894
გადახდილი ავანსები	3,265,119	2,433,807	444,715
სულ არაფინანსური მოთხოვნები	3,265,119	2,433,807	444,715
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,624,173	14,455,191	6,204,609

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	3,308,308	3,050,280
წლის განმავლობაში რეზერვის ზრდა	1,312,732	258,028
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,621,040	3,308,308

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
შპს არქ არეა	8/25/2021	8/25/2025	13.77%	ლარი	9,527	-	593,776
შპს ანაგი	7/29/2025	12/31/2027	9.50%	ევრო	513,236	-	-
შპს ჯითისი ჯგუფი	7/29/2025	12/31/2027	9.50%	ევრო	513,236	-	-
შპს დეკა ქონსტრაქშენ	7/29/2022	7/29/2025	13.47%	ლარი	2,721	2,721	2,721
შპს დეკა დეველოპმენტ*	7/28/2022	7/28/2025	8.00%	ლარი	1,595,673	3,542,470	1,165,973
შპს დეკა დიდი დილომი	10/10/2022	10/10/2025	8.00%	ლარი	9,589	9,589	425,640
შპს კუბიკ თაუერი	6/25/2021	6/25/2025	7.00%	დოლარი	196,921	297,823	272,344
შპს დეკა დეველოპმენტ	7/20/2022	7/20/2027	7.25%	დოლარი	-	177,510	162,120
შპს ჯი თი სი ჯგუფი*	12/29/2023	12/29/2027	8.00%	ლარი	239,111	162,283	-
შპს დეკა ვერონა*	2/2/2023	2/2/2025	8.00%	ლარი	250,956	220,704	-
შპს მეტროპოლიტენ გრუპ*	2/27/2023	2/27/2025	8.00%	ლარი	231,944	200,990	-
შპს კაპიტალ კომპანი 2*	4/1/2023	4/1/2026	8.00%	ლარი	1,921,185	505,877	-
შპს ქრენიქს	8/30/2023	8/30/2025	8.00%	ლარი	-	3,600,114	-
შპს არეა დეველოპმენტი*	10/30/2023	10/30/2025	8.00%	ლარი	1,634	89,145	-
შპს კაპიტალ კომპანი 2*	4/1/2023	4/1/2026	8.00%	ევრო	817,171	706,193	-
შპს ქრენიქს	10/17/2023	10/17/2024	8.00%	ევრო	-	551,736	-
სულ, მათ შორის					6,302,904	10,067,155	2,622,574
პროცენტი					765,860	526,702	86,188
ძირი					5,537,044	9,540,453	2,536,386
სულ გაცემული სესხები					6,302,904	10,067,155	2,622,574

* აღნიშნულ კომპანიებზე სესხის გაცემა მოხდა არასაბაზრო პროცენტით, საბაზრო პროცენტით დისკონტირებული ეფექტი წარმოდგენილია 22 შენიშვნაში.

8. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია გაცემული სესხების მოძრაობა 2024 და 2023 წლების განმავლობაში:

გაცემული სესხების მოძრაობა	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	10,067,155	2,622,574
სესხის გაცემა	2,860,552	9,372,546
სხვა მოთხოვნის სესხად აღიარება	1,029,975	-
დაბრუნებული ძირი	(8,219,500)	(2,406,838)
მიღებული პროცენტი	(178,685)	-
საპროცენტო შემოსავალი	755,951	497,376
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	(12,544)	38,284
გაცემული სესხის პროცენტის ჩამოწერა	-	(56,787)
	6,302,904	10,067,155

9. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გასაყიდად გამიზნული მარაგები	11,679,658	11,172,944	11,853,700
საწვავი	-	1,035	446
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	94,688	7,924	11,467
სულ მარაგები	11,774,346	11,181,903	11,865,613

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკის სასარგებლოდ დაგირავებულია კომპანიის ბალანსზე არსებული მარაგები.

10. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა

კომპანიის საგადასახადო აქტივი/ვალდებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: ქონების გადასახადისაგან, საშემოსავლო გადასახადისაგან და გადასახდელი/გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო აქტივი შეადგენს 438,586 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო აქტივი შეადგენს 87,836 ლარს, ხოლო 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია საგადასახადო დავალიანება 283,165 ლარის ოდენობით.

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღირებულება	შენიშვნა- ნაგებობები	საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი	არამატერიალური აქტივი
31 დეკემბერი, 2022	12,443	283,061	428,695	549,055	1,273,254	22,753
შემოსვლა	25,222	43,712	105,508	561,058	735,500	-
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებით	-	-	71,052	-	71,052	-
გასვლა	-	(61)	(95,693)	-	(95,754)	-
31 დეკემბერი, 2023	37,665	326,712	509,562	1,110,113	1,984,052	22,753
შემოსვლა	21,610	112,962	156,370	259,005	549,947	-
31 დეკემბერი, 2024	59,275	439,674	665,932	1,369,118	2,533,999	22,753
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2022	(6,755)	(57,076)	(133,797)	(50,697)	(248,325)	(202)
წლის ცვეთის ხარჯი	(3,052)	(59,088)	(63,043)	(141,857)	(267,040)	(7,335)
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებით	-	-	(26,497)	-	(26,497)	-
გასვლა	-	-	43,901	-	43,901	-
31 დეკემბერი, 2023	(9,807)	(116,164)	(179,436)	(192,554)	(497,961)	(7,537)
წლის ცვეთის ხარჯი	(8,618)	(72,857)	(71,582)	(251,726)	(404,783)	(7,335)
31 დეკემბერი, 2024	(18,425)	(189,021)	(251,018)	(444,280)	(902,744)	(14,872)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2023	27,858	210,548	330,126	917,559	1,486,091	15,216
31 დეკემბერი, 2024	40,850	250,653	414,914	924,838	1,631,255	7,881

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკის სასარგებლოდ დაგირავებულია კომპანიის ბალანსზე არსებული და სამომავლო ძირითადი საშუალებები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 66,130 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 6,035 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,257 ლარს.

12. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღირებულება	ტრანსპორტი	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2022	71,052	595,288	666,340
დამატება		1,986,168	1,986,168
ძირითად საშუალებაში გადატანა	(71,052)		(71,052)
31 დეკემბერი 2023	-	2,581,456	2,581,456
დამატება	-	112,802	112,802
31 დეკემბერი 2024	-	2,694,258	2,694,258

დაგროვილი ცვეთა

31 დეკემბერი, 2022	(25,764)	(64,941)	(90,705)
წლის ცვეთა	(733)	(328,498)	(329,231)
ძირითად საშუალებაში გადატანა	26,497	-	26,497
31 დეკემბერი 2023	-	(393,439)	(393,439)
წლის ცვეთა	-	(737,012)	(737,012)
31 დეკემბერი 2024	-	(1,130,451)	(1,130,451)

წმინდა საბალანსო ღირებულება

1 იანვარი, 2023	45,288	530,347	575,635
31 დეკემბერი, 2023	-	2,188,017	2,188,017
31 დეკემბერი, 2024	-	1,563,807	1,563,807

13. საინვესტიციო ქონება

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	549,123	194,505
შემოსვლა	-	354,618
რეალიზაცია	(354,618)	-
გაუფასურება	(194,505)	
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	549,123

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონებზეა წარმოადგენს ფართს, რომლის მისამართებია ქალაქი ბათუმი, ყადირ შერვაშიძის აღმართი, N 248.

2023 წელს ფართი შეძენილია არადაკავშირებული მხარისგან სამართლიანი ღირებულებით, რომლის რეალიზაცია მოხდა 2024 წელს.

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შვილობილ საწარმოში ინვესტიციას წარმოადგენს 100%-იანი წილი შპს „ჯიერ დეველოპმენტს“-ში (ს/ნ 405581375). ინვესტიციის ღირებულება შედგენს 916,944 ლარს. კომპანია არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“-ს და მისი შვილობილი კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები კონსოლიდირდება მფლობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან. 2024 წელს კომპანიამ მოხდინა წილის რეალიზაცია შპს ანაგსა და შპს ჯი თი სი ჯგუფზე.

15. გასაყიდად გამიზნული აქტივები

კომპანიის გასაყიდად გამიზნული აქტივები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გასაყიდად გამიზნული აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მიწის ნაკვეთი, ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა #86 (ს.კ 01.11.05.029.380)	3,520,096	3,508,577	-
მიწის ნაკვეთი, ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. #8 (ს.კ01.19.19.001.503)	5,862,214	5,862,213	-
მიწის ნაკვეთი ს.კ 01.19.19.001.475	95,081	-	-
გასაყიდად გამიზნული ბინები	407,285	-	-
სულ გასაყიდად გამიზნული აქტივები	9,884,676	9,370,790	-

2025 წელს კომპანიამ მოახდინა მის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთის - ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა #86 (ს.კ 01.11.05.029.380) რეალიზაცია და აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვა მიწის ნაკვეთების რეალიზაციისათვის.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13,118,499	12,359,113	4,545,898
უკუშესყიდვის პირობით წარმოქმნილი ვალდებულება	351,672	280,930	256,686
სხვა	32,215	10,311	8,493
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,502,386	12,650,354	4,811,077
მიღებული ავანსები	701,169	893,661	1,818,988
სულ არაფინანსური ვალდებულებები	701,169	893,661	1,818,988
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,203,555	13,544,015	6,630,065

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სესხის ხელშეკრულება 6499545-11468888 EUR	6.50%	ევრო	6/24/2021	6/24/2024	-	-	573,085
სესხი ხელშეკრულება 6499545-10366732	7.26%	ევრო	2/12/2019	10/17/2023	-	1,014	980
სს იშ ბანკი სესხი 0647BCH100037	5.50%	ევრო	3/9/2021	3/9/2022	-	-	1,728,780
სესხის ხელშეკრულება 6499545-11745020	6.25% + EURIBOR 6 Month Rate	ევრო	12/15/2021	12/15/2022	-	-	-
სესხის ხელშეკრულება 6499545-12286923	8.00%	ევრო	11/17/2022	11/17/2023	-	-	11,564,521
სესხის ხელშეკრულება 6789303-11412653 USD	7.80%	დოლარი	5/17/2021	10/17/2022	-	-	-
სესხი ხელშეკრულება 6499545-12628698	8.00%	ევრო	6/23/2023	6/23/2027	2,930,600	2,980,759	-
სესხის ხელშეკრულება 16499545-12675328	8.50%	ევრო	8/24/2023	8/24/2027	2,930,600	2,981,253	-
სესხის ხელშეკრულება 6499545-12980667	8.50%	ევრო	12/21/2023	7/21/2025	11,764,336	11,794,472	-
სს იშბანკი საქართველო (0647BCH300060)	8.75%	ევრო	3/9/2023	3/9/2024	-	1,794,292	-
სს იშბანკი საქართველო (სესხი 0647CLE300116)	9.00%	ევრო	12/22/2023	12/22/2024	-	4,464,082	-
სს იშბანკი საქართველო (0647BCH400072)	8.75%	ევრო	3/11/2024	3/11/2025	1,758,360	-	-
სს იშბანკი საქართველო (სესხი 436023-001)	8.75%	ევრო	3/11/2024	3/11/2025	4,395,900	-	-
საკრედიტო ხაზი EUR (6499545-13444359)	9.50%	ევრო	6/28/2024	7/25/2025	14,653,000	-	-
შპს ჯი თი სი რენტ*	0.00%	ევრო	4/3/2023	12/26/2025	136,189	6,325,453	-
სულ მიღებული სესხები					38,568,985	30,341,325	13,867,366
სესხის ძირი					38,502,209	29,772,891	13,839,465
დარიცხული პროცენტი					66,776	568,434	27,901

* აღნიშნული კომპანიისგან სესხის მიღება მოხდა არასაბაზრო პროცენტით, საბაზრო პროცენტით დისკონტირებული ეფექტი წარმოდგენილია 23 შენიშვნაში.

ქვემოთ წარმოდგენილია გაცემული სესხების მოძრაობა 2024 და 2023 წლების განმავლობაში:

სესხების მოძრაობა	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	30,341,325	13,867,366
სესხის აღება	31,074,284	64,220,686
გადახდილი ძირი	(22,483,132)	(49,083,068)
გადახდილი პროცენტი	(2,948,511)	(1,115,377)
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	(824,182)	798,673
საპროცენტო ხარჯი	3,409,201	1,653,045
31 დეკემბრის მდგომარეობით	38,568,985	30,341,325

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	2,028,006	476,202
შემოსვლა	122,089	1,986,168
საპროცენტო ხარჯი	138,658	75,516
გადახდა	(805,556)	(497,630)
საკუროსო სხვაობის ეფექტი	60,787	(12,250)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,543,984	2,028,006

19. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი საქარგილე მასალის რეალიზაციიდან	63,040,444	57,669,949
შემოსავალი იჯარიდან	168,973	402,270
შემოსავალი მომსახურებიდან	666,621	71,053
სხვა	483	-
სულ შემოსავალი	63,876,521	58,143,272

20. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულების არსებითი ნაწილი 2024 და 2023 წლებისთვის ძირითადად წარმოადგენს რეალიზებულ საქარგილე მასალების ჩამოწერის ხარჯს.

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

წმინდა ფინანსური შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,758,760	2,095,282
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	1,312,732	258,028
ამორტიზაცია და ცვეთა	1,149,130	603,606
ტრანსპორტირების ხარჯი	441,193	447,537
მომსახურების ხარჯი	243,826	17,743
საწვავის ხარჯი	72,211	68,405
რემონტის ხარჯი	70,033	9,424
საპენსიო ხარჯი	58,106	38,803
კონსულტაციისა და აუდიტის ხარჯები	53,842	107,602
რეკლამის ხარჯი	53,163	82,951
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	50,719	11,537
კომუნალური ხარჯი	48,533	21,887
მივლინების ხარჯი	45,277	44,883
ბანკის საკომისიო	43,044	20,557
იჯარის ხარჯი	38,746	66,058
დაზღვევის ხარჯი	33,594	24,157
წარმომადგენლობითი ხარჯი	30,534	12,880
საოფისე ხარჯი	10,461	17,664
საკანცელარიო ხარჯი	4,765	2,768
სხვადასხვა ხარჯი	107,627	76,489
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,626,296	4,028,261

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი) 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	490,479	1,726,934
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული თანხა*	386,767	1,698,178
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	3,687	-
ქეშბეკი	33,105	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	-	14,585
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	66,920	14,171
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(1,178,111)	(845,928)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული თანხა**	(948,512)	(785,031)
საინვესტიციო ქონების გაუფასურების ხარჯი	(194,505)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(35,094)	(60,897)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(687,632)	881,006

* დაკავშირებული მხარისგან მიღებულ თანხას წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან არასაბაზრო პროცენტით მიღებული სესხის დისკონტირების ეფექტით გამოწვეული სხვაობა და გაცემული სესხების წინსწრებით დაფარული თანხებით გამოწვეულ შეფასების ცვლილების ეფექტს.

**დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ თანხას წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე არასაბაზრო პროცენტით გაცემული სესხის დისკონტირების ეფექტით გამოწვეული სხვაობა და მიღებული სესხების წინსწრებით დაფარული თანხებით გამოწვეულ შეფასების ცვლილების ეფექტს.

23. წმინდა ფინანსური ხარჯი

წმინდა ფინანსური ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(3,409,201)	(1,653,045)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(138,658)	(75,516)
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	755,951	497,376
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(2,791,908)	(1,231,185)

24. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა

საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება/(ზარალი) 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

	2024	2023
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება	7,327,814	3,896,985
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,583	123,515
სასესხო ვალდებულებები	4,019,697	1,195,111
სასესხო მოთხოვნები	156,135	92,588
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,129,747	1,198,024
საიჯარო ვალდებულება	-	12,250
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,985,652	1,275,497

24. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა (გაგრძელება)

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(7,116,969)	(4,714,941)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(620,340)	(329,835)
სასესხო ვალდებულებები	(3,195,515)	(1,993,784)
სასესხო მოთხოვნები	(168,679)	(54,304)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,233,460)	(1,444,061)
საიჯარო ვალდებულება	(60,787)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(1,838,188)	(892,957)
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	210,845	(817,956)

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,667,183	5,307,159	3,608,667
გაცემული სესხები	5,270,711	4,316,268	1,756,454
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(966,706)	(1,175,600)	(3,118,207)
მიღებული სესხები	136,189	(6,325,453)	-
საიჯარო ვალდებულებები	196,690	313,261	473,123

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	2024	2023
შემოსავალი	24,653,511	18,579,632
საპროცენტო შემოსავალი	456,529	272,224
საპროცენტო ხარჯი	(342,358)	(515,629)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(561,745)	913,147
ინვესტიციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	106,378	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(370,393)	(305,839)

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება და სხვა ბენეფიტები	870,774	363,931

26. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- **ლიკვიდობის რისკი:** რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- **საბაზრო რისკები:** რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,359,054	12,021,384	5,759,894
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,696,716	1,721,057	4,673,291
გაცემული სესხები	6,302,904	10,067,155	2,622,574
სულ ფინანსური აქტივები	28,358,674	23,809,596	13,055,759

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სესხები	38,568,985	30,341,325	13,867,366
საიჯარო ვალდებულება	1,543,984	2,028,006	476,202
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,502,386	12,650,354	4,811,077
სულ ფინანსური ვალდებულებები	53,615,355	45,019,685	19,154,645

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,359,054	20,359,054	20,359,054
ფულადი სახსრები ბანკში	1,696,713	1,721,036	4,673,078
გაცემული სესხები	6,302,904	10,067,155	2,622,574
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	28,358,671	32,147,245	27,654,706

26. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
სესხები	33,785,499	4,783,486	38,568,985
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,502,386	-	13,502,386
საიჯარო ვალდებულება	802,471	741,513	1,543,984
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48,090,356	5,524,999	53,615,355

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
სესხები	16,803,710	13,537,615	30,341,325
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,650,354	-	12,650,354
საიჯარო ვალდებულება	586,664	1,441,342	2,028,006
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,040,728	14,978,957	45,019,685

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
სესხები	13,867,366	-	13,867,366
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,811,077	-	4,811,077
საიჯარო ვალდებულება	147,581	328,621	476,202
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,826,024	328,621	19,154,645

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 17). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

შპს „ჯი თი სი თრედიინგი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,178,737	1,097,693	14,082,624	20,359,054
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,679,873	659	16,184	1,696,716
გაცემული სესხები	4,262,340	196,921	1,843,643	6,302,904
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,120,950	1,295,273	15,942,451	28,358,674

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	-	38,568,985	38,568,985
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,052,376	555,236	11,894,774	13,502,386
საიჯარო ვალდებულება	97,556	1,446,428	-	1,543,984
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,149,932	2,001,664	50,463,759	53,615,355

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,057,610	931,841	6,031,933	12,021,384
ფული და ფულის ეკვივალენტები	373,937	2,667	1,344,453	1,721,057
გაცემული სესხები	8,333,893	475,333	1,257,929	10,067,155
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,765,440	1,409,841	8,634,315	23,809,596

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	-	30,341,325	30,341,325
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,201,099	2,816,662	8,632,593	12,650,354
საიჯარო ვალდებულება	-	2,028,006	-	2,028,006
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,201,099	4,844,668	38,973,918	45,019,685

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,754,607	706,603	3,298,684	5,759,894
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,377,200	-	3,296,091	4,673,291
გაცემული სესხები	2,188,110	434,464	-	2,622,574
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,319,917	1,141,067	6,594,775	13,055,759

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	-	13,867,366	13,867,366
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	865,593	77,705	3,867,779	4,811,077
საიჯარო ვალდებულება	-	476,202	-	476,202
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	865,593	553,907	17,735,145	19,154,645

გრძნობელობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგებას 2,525,669 ლარით (2023: 2,121,011 ლარით).

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ წილის მფლობელებზე გასცა დივიდენდი ჯამური ღირებულებით 250,000 ლარი.

ასევე, კომპანიამ კომერციული ბანკისგან აიღო სესხი ჯამური ღირებულებით 4,798,401 ლარი და დაფარა 7,604,015 ლარის სესხი.



**შპს „ჯი თი სი ტრეიდინგი“
ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
2024**

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	4
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	6

1. ზოგადი მიმოხილვა

შპს ჯი თი სი თრეიდინგი (406249625) დაარსდა 2018 წლის 21 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს საქარგილე მასალას, რომელსაც საქართველოს მასშტაბით ყიდის როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე. 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	2024	2023
შპს ანაგი „245416401“	50%	50%
შპს ჯი თი სი ჯგუფი „405324947“	50%	50%
	100%	100%

შპს ანაგი-ს ბენეფიციარი (100 %) არის ნანა აროშიძე „61001011700“.

შპს ჯი თი სი ჯგუფის ბენეფიციარები (50-50%) არიან: ლევან კალანდარიშვილი „01015008724“ და კახა მარღიაშვილი „01015007303“.

შპს ანაგი, შპს ჯი თი სი თრეიდინგის მეწილე გახდა 2021 წლის 18 ნოემბერს, მანამდე 100% წილის მფლობელი იყო შპს ჯი თი სი ჯგუფი.

პარტნიორთა კრება


პარტნიორთა კრება, როგორც წესი ტარდება კომპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე.

დირექტორთა საბჭო

კომპანიის პარტნიორების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დანიშნულია ერთი დირექტორი, რომელიც ახორციელებს საწარმოს მიმდინარე ხელმძღვანელობას.

პერსონალი

კომპანიაში, 2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ირიცხება საშუალოდ 70 თანამშრომელი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 61 თანამშრომელი. ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 62 თანამშრომელი.



2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ძირითადი შემოსავლები

შპს ჯი თი სი თრეიდინგის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამშენებლო მასალებით ვაჭრობა, კერძოდ: საყალიბე სისტემები, სამშენებლო ფანერა, კოჭი, დგარი, ხარაჩო, უსაფრთხოების სისტემები და სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო მასალები. ჯითისი წარმოადგენს სფეროს წამყვანი მწარმოებლების, როგორც არის Doka, Formax, Sveza, Plyterra, Alfix, Gherardi, Extraform ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში.

სამშენებლო საქონლის ვაჭრობის გარდა, კომპანია გამოცდილი და მაღალკვალიფიციური გუნდის საშუალებით, სამშენებლო ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი სერვისებით: ყალიბის საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურება.

კომპანიის სერთიფიცირებული ინჟინრები და ყალიბის სპეციალისტები უზრუნველყოფენ მონოლითის შესრულების მთლიანი ციკლის დაგეგმვას, განხორციელებას და მონიტორინგს. კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს პარტნიორების ნდობის შენარჩუნება და სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებისთვის მუდმივად მაღალი ხარისხის პროდუქციის და სერვისების შეთავაზება.

გარდა უშუალოდ პროდუქციის გაყიდვისა, ჯითისი თრეიდინგის საყალიბე სისტემების სწორი და ეფექტური ექსპლუატაციისათვის, მომხმარებელს სთავაზობს საინჟინრო გუნდის მომსახურებას. კომპანიის ტექნიკური სპეციალისტები ყალიბის მონტაჟის დროს სამშენებლო პროექტზე დასაქმებულ პირებს უწევენ კონსულტაციას და ინსტრუქტაჟს. აღნიშნული სერვისის საშუალებით ხდება:

- საყალიბე სისტემის უპირატესობების სრულად გამოყენება;
- იზრდება პერსონალის უსაფრთხოება და პროდუქტიულობა;
- ხანგრძლივდება ყალიბის საექსპლუატაციო ვადა;
- დაიზოგება ფინანსები;

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალმა შეადგენდა 63,876,521 ლარი. რეალიზაციის 99.2% შეადგენს ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს, დეტალები იხილეთ კომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მსხვილ საოპერაციო დანახარჯს (49%) წარმოადგენს სახელფასო ხარჯი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
შემოსავალი	63,876,521	58,143,272
რეალიზაციის თვითღირებულება	(55,318,916)	(51,148,217)
საერთო მოგება	8,557,605	6,995,055
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,626,296)	(4,028,261)
საოპერაციო მოგება	1,931,309	2,966,794
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	(493,127)	881,006
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	102,519	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	(2,791,908)	(1,231,185)
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	210,845	(817,956)
მოგება დაბეგვრამდე	(1,040,362)	1,798,659
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	(1,040,362)	1,798,659
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(1,040,362)	1,798,659

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,696,716	1,721,057	4,673,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,624,173	14,455,191	6,204,609
მოკლევადიანი გაცემული სესხები	4,038,022	1,340,921	786,003
მარაგები	11,774,346	11,181,903	11,865,613
საგადასახადო აქტივი, წმინდა	438,586	87,836	-
გასაყიდად გამიზნული აქტივი	9,884,676	9,370,790	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	51,456,519	38,157,698	23,529,516
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,631,255	1,486,091	1,024,929
არამატერიალური აქტივები	7,881	15,216	22,551
აქტივის გამოყენების უფლება	1,563,807	2,188,017	575,635
გრძელვადიანი გაცემული სესხები	2,264,882	8,726,234	1,836,571
საინვესტიციო ქონება	194,505	549,123	194,505
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	916,944	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,662,330	13,881,625	3,654,191
სულ აქტივები	57,118,849	52,039,323	27,183,707
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,203,555	13,544,015	6,630,065
გადასახდელი დივიდენდები	-	28,000	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	802,471	586,664	147,581
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	33,785,499	16,803,710	13,867,366
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	-	283,165
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	48,791,525	30,962,389	20,928,177
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	741,513	1,441,342	328,621
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,783,486	13,537,615	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5,524,999	14,978,957	328,621
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	284,347	284,347	286,938
გაუნაწილებელი მოგება	2,517,978	5,813,630	5,639,971
სულ კაპიტალი	2,802,325	6,097,977	5,926,909
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	57,118,849	52,039,323	27,183,707

კომპანიის აქტივების 48% დაფინანსებულია თიბისი ბანკისა და იშ ბანკის კრედიტებით, რომლის დადგენილ კოვენანტებსაც კომპანია იცავს სტაბილურად. კომპანიის კაპიტალი მთლიან აქტივებთან მიმართებაში შეადგენს 11.89%, რაც კარგი მაჩვენებელია.

შპს ჯი თი სი თრეიდინგის ბალანსიდან ჩანს, რომ მოკლევადიანი აქტივები, მთლიანი აქტივების 90.08%-ს შეადგენს, რომელიც მაღალ ლიკვიდურია და ყოველწლიურად მზარდია. ბალანსის სტრუქტურა კარგია. კომპანიის დამფუძნებლები ორიენტირებულები არიან ბიზნესის გაძლიერებაზე და გეგმავენ მოგების რეინვესტირებას. Current Ratio 2024 წლის მონაცემით არის 1.05, რაც კარგი მაჩვენებელია (2023 წელს ეს მაჩვენებელი 1.26-ზე იყო). კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალი 7 მლნ ლარს აჭარბებს.

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

საერთო მოგების მარჟა 2024 წლის პერიოდზე არის 1.63%, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 13.39%. 2024 წლის მონაცემებით კომპანიის უკუგება კაპიტალზე (ROE) არის 37.12%, ხოლო აქტივთან მიმართებაში (ROA) 1%. კომპანია ინვესტირებისთვის რჩება ინტერესის არეალში.

შპს ჯი თი სი თრეიდინგმა, 2024 წელს აჩვენა დაგეგმილი მომგებიანობა, განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, რაც შესაბამისად აისახა მომგებიანობის კოეფიციენტში. კრედიტორებისა და ბენეფიციარებისთვის, კომპანიის ასეთი მომგებიანობა არ ყოფილა მოულოდნელი.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჯი თი სი თრეიდინგის ჩამოყალიბებამდე, დამფუძნებლებს გააჩნდათ მრავალწლიანი გამოცდილება სამშენებლო ბიზნესში, ისინი ეფექტურად ახორციელებდნენ ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამის დაგეგმვა - შესრულებას, რამაც საშუალება მისცა შეერჩიათ ბაზრისთვის საუკეთესო პროდუქტი და სერვისი, რაც დღეის მდგომარეობით აისახა შპს ჯი თი სი თრეიდინგის შექმნით.

წარმატებული ბიზნესის მოდელმა დააინტერესა ისეთი მსხვილი კომპანია, როგორც ანაგია და 2021 წლის ნოემბერში შპს ანაგმა შეიძინა შპს ჯი თი სი თრეიდინგის 50%. ამ პროცესის გავლის შემდგომ, კრედიტორ ბანკებთან ერთად გადაწყდა დამატებითი საბრუნავი საშუალებების შეძენა და ბაზარზე უფრო ძლიერი პოზიციების დაუფლება, ჯი თი სი თრეიდინგი აგრძელებს მისთვის კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე დამატებითი შემოსავლის მიღებას.

მთელი ამ პერიოდის მანძილზე, კომპანიის მენეჯმენტმა მოახერხა ძირითად ადგილობრივ დამკვეთებთან კარგი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, რაც კომპანიის მიერ სტაბილურად მიწოდებული მაღალი ხარისხის შედეგი იყო.

კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კლიენტების რაოდენობა და შეიქმნა სტაბილური პორტფელი, რომელიც მიმდინარე ეტაპზე მუდმივ ზრდას განიცდის.

უნდა აღინიშნოს რომ კომპანიამ წარმატებულად გაართვა თავი მშენებლობის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს. კომპანიის პროდუქციით აშენდა მსხვილი და სტრატეგიული სახელმწიფო თუ კერძო ინფრასტრუქტურული პროექტები.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითად რისკ ფაქტორად რჩება სამშენებლო და დეველოპერული ბიზნესის სტაბილურობა.

როგორც ბევრ კვლევაშია ნაჩვენები, საქართველოში აღნიშნული ბიზნესი იზრდება და ბოლო 10 წლის მანძილზე ხასიათდება სტაბილურობით. ბოლო პერიოდში, სახელმწიფო და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ დადგენილმა სტანდარტებმა და მიღებულმა კანონებმა, ფაქტიურად აღმოფხვრა ბიზნესში არსებული და წარსულში დაშვებული შეცდომები, რაც ხელს უშლიდა ბიზნესის განვითარებას ასევე ინვესტირებისთვის

რჩებოდა რისკიან დარგად, შესაბამისად ამ სფეროსთან დაკავშირებულმა სხვადასხვა ტიპის სავაჭრო თუ მომსახურების ბიზნესებმა დაიწყეს ზრდა და შეინარჩუნეს მდგრადობა. შპს ჯი თი სი თრეიდინგის კონკურენცია ბევრი მსხვილი თუ წვრილი სავაჭრო კომპანია, რომელთაგან გამოსარჩევია შპს ციტადელი, რომელიც მსგავსი ტიპის პროდუქტითაა წარმოდგენილი სამშენებლო ბაზარზე.

შპს ჯი თი სი თრეიდინგს, გაწერილი აქვს დეტალური ბიზნეს გეგმა, რომელსაც მიყვება და ახდენს მუდმივ განახლებას ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სამშენებლო სექტორი მზარდია და უახლოეს პერიოდში მისი შემცირების მოლოდინები არ არსებობს. შპს ჯი თი სი თრეიდინგს, ავსტრიულ Doka-სთან პარტნიორობით კონკურენტი ფაქტიურად არ ყავს, ვინაიდან მსგავსი ხარისხის საყალიბე მასალებს არავინ არ ყიდის. საქართველოში არსებული სხვადასხვა კომპანიების მხრიდან ხდება უფრო დაბალი ხარისხის საყალიბე მასალების გაყიდვა, თუმცა მათი მომსახურების ხარისხი და მასშტაბი კონკურენციას ვერ უწევს ჯი თი სი თრეიდინგის მიერ წარმოდგენილ სერვისს და პროდუქტს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კონკურენტი კომპანიების სეგმენტი უფრო მცირე დეველოპერული კომპანიებია.

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი, 2025

შპს „ჯი თი სი თრეიდინგი“
ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კახა მარღიაშვილი

დავით ჟღენტი


თბილისი, საქართველო
2 ოქტომბერი, 2025

